



საგანგებო მდგომარეობა: ძირითადი შეზღუდვები კომპანიებისთვის

- 2020 წლის 23 მარტს საქართველოს მთავრობამ გამოსცა დადგენილება N181 „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“.
- დადგენილების მიხედვით, დაწესდა შემდეგი ძირითადი შეზღუდვები:

ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა

- შეჩერდა ნებისმიერი საქონლის/პროდუქტის მიწოდება/რეალიზაცია **გარდა შემდეგი საქმიანობებისა:**
 - სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, საყოფაცხოვრებო ქიმიისა და ჰიგიენის, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდების, აგროქიმიკატების, სათესლე და სარგავი მასალების საცალო რეალიზაცია.
 - ელექტროკომუნიკაციის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყლის, ბენზინის, დიზელის, თხევადი აირის მიწოდება.
 - სამედიცინო დანიშნულების საქონლის, ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია;
 - საქონლის/პროდუქტის საცალო/საბითუმო რეალიზაცია თუ იგი ხორციელდება ადგილზე მიტანით ან თუ საბითუმო რეალიზაცია ხდება ადგილიდან გატანით მომხმარებლის სარეალიზაციო სივრცეში დაშვების გარეშე.
 - პრესის ჯიხურები.
- შეჩერდა საკლუბო და გასართობ დასასვენებელი ცენტრების, კინოთეატრის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრების, სილამაზის სალონებისა და ღამის კლუბების საქმიანობა. აზარტული და მომგებიანი თამაშობების მომსახურების მიწოდება დასაშვებია მხოლოდ ელექტრონული ფორმით.

ცალკეული ობიექტების ვალდებულებები

- დადგენილებით განისაზღვრა ჰიგიენისა და სურსათის ტემპერატურულ რეჟიმებთან დაკავშირებული ვალდებულებები სურსათის მწარმოებელი / გადამამუშავებელი/მიტანის სერვისის განმახორციელებელი ობიექტებისთვის. ჰიგიენის დაცვისა და სოციალური დისტანციის ვალდებულებები დაუწესდათ იმ პირებსაც, რომლებიც ახორციელებენ პროდუქტის მიწოდებას საცალო/საბითუმო ვაჭრობის ობიექტებში.

საგანგებო მდგომარეობა: ძირითადი შეზღუდვები კომპანიებისთვის

- 2020 წლის 23 მარტს საქართველოს მთავრობამ გამოსცა დადგენილება N181 „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“.
- დადგენილების მიხედვით, დაწესდა შემდეგი ძირითადი შეზღუდვები:

კერძო საკუთრების შეზღუდვა

იურიდიული და ფიზიკური პირები ვალდებული არიან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოთხოვნისთანავე განახორციელონ შემდეგი:

- მოთხოვნილი მიმართულებით ჩარტერული ფრენა საქართველოს მოქალაქეთა საქართველოში ჩამოყვანის ან/და შესაბამისი ტვირთის ტრანსპორტირების მიზნით, თუ მათ შეუძლიათ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვა.
- მოთხოვნილი მიმართულებით შესაბამისი პირების საავტომობილო გადაყვანა მათი საკარანტინო ზონაში განთავსების მიზნით ან/და ტვირთის გადაზიდვა, თუ მათ შეუძლიათ საავტომობილო ტრანსპორტით გადაყვანა-გადაზიდვა.
- სასტუმრო ან/და განთავსების მსგავსი საშუალებებით პირების უზრუნველყოფა და თანმდევი სერვისების განხორციელება სავალდებულო კარანტინის ფარგლებში, თუ ისინი ფლობენ სასტუმროს ტიპის ობიექტს ან/და შეუძლიათ განახორციელონ აღნიშნული საქმიანობა.

სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის შეზღუდვები

- იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამატებით განისაზღვრება პენიტენციური სამსახურის, ნოტარიუსთა პალატისა და ეროვნული არქივის საქმიანობების განსხვავებული წესები.
- ბრძანებით შეიზღუდა აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობა, მათ შორის, შეჩერდა/გადაიდო სხვისი მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის საქმეებზე დანიშნული სააღრულებო მოქმედებები, ასევე, შენობა-ნაგებობების დემონტაჟის საქმეებზე დანიშნული სააღსრულებო მოქმედებები.
- ბრძანებით დადგინდა ელექტრონული საქმისწარმოების, ადმინისტრაციული წარმოებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის განსხვავებული წესები, მათ შორის, შეჩერდა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები.

სხვა შეზღუდვები

შეიზღუდა საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლა, გარდა დადგენილებით განსაზღვრული გამონაკლისებისა.

საკონტაქტო დეტალები

ვანო გოგელია

იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელი
Vano.Gogelia@pwc.com

მარიამ მაყიშვილი

უფროსი იურისტი
Mariam.Makishvili@pwc.com

წინამდებარე გამოცემა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ-სამართლებრივ რჩევად.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით.